№ 100 20 მკათათვე, ოთხშაბათი 1866—1877 20 მკათათვე, ოთხშაბათი № 100

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

დროება

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: ერთ ასოებით ასოზე—1 კაპ., ვსო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

ᲐᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ 1878 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲘᲜ

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ᲤᲐᲡᲘ ნახევარ წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“*

ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲘᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲑᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲐᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲐᲒ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲔᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“—ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ისყიდება სვიმონ ჩო�ახიძესთან, ბუბერნიის ტიპოგრაფიაში, ბულვარის პირ-დაპირ.

ᲔᲠᲗᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ—ᲨᲐᲣᲠᲘ

გაზეთი მიიღება ქუთაისში საღამოს 8 საათზე იმავე დღეს, რა დღესაც თფილისში გამოდის.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡ წიგნის მაღაზიაში (ᲥᲣᲙᲘᲘᲡ ᲑᲘᲓᲖᲔ, ᲛᲘᲠᲖᲝᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ)

ᲒᲠᲘᲓᲭᲠᲝᲕᲘᲡ წიგნის მაღაზიაში (ᲥᲣᲙᲘᲘᲡ ᲑᲘᲓᲗᲐᲜ, ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ)

„ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲡ“ თამბაქოს მაღაიზაში (სუდის ქვეშ).

„ᲙᲐᲠᲓᲐᲜᲐᲮᲘᲡ“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐᲨᲘ)

ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ თამბაქოს მაღაზიაში ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲖᲔ)

ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ („ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲥᲕᲔᲨ, ᲛᲘᲠᲖᲝᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ).

ᲯᲘᲛᲨᲕᲘᲠᲝᲕᲘᲡ თამბაქოს მაღაზიაში (ᲥᲣᲙᲘᲘᲡ ᲑᲘᲓᲖᲔ).

—

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—ᲡᲕ. ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ (ᲑᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ).

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ინგლისური გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი იწერება ᲧᲐᲠᲡᲘᲓᲐᲛ, 10 ივლისიდამ, რომ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ რუსები შესულან სულ 50,000 კაცით.

—

სტამბოლში მიუღიათ შემდეგი ტელეგრამმა 5 ივლისს ᲧᲐᲠᲡᲘᲓᲐᲛ:

„რუსები დღეს დგანან ზაიმში. სურსათის შემოტანა ᲧᲐᲠᲡᲨᲘ და გარნიზონის შედგენა სრულიად გათავებულია. თუთხმეტი ბატალიონი გამოვიდა ᲧᲐᲠᲡᲘᲓᲐᲛ. ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲘᲡ ტელეგრამმა ᲘᲡᲕᲔᲙᲘᲓᲐᲛ გვაცნობებს, რომ რუსები წაწეულან რევანთან სამზღვარზე ახლო და ჯერ არაფერ საქმეს არ აპირებენ.“

—

რუსულ გაზეთს „Голосъ“-ში მოყვანილია ერთი ᲕᲔᲜᲘᲡ გაზეთიდამ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ მოწერილი შემდეგი ამბავი:

„მუხთარ-ფაშის ჯარს მოემატა ახალი დიდ-ძალი ჯარი და დგას ᲐᲙᲑᲣᲜᲐᲠᲨᲘ სამ საათის სავალზე ᲧᲐᲠᲡᲘᲡ სამხრეთით. ᲯᲐᲠᲡ აქვს კავშირი ᲧᲐᲠᲡᲘᲡ გარნიზონთან, რომელიც შესდგება 24 ბატალიონისაგან და 18 ზარბაზნისაგან ისე, რომ დაჭირების დროს ამ გარნიზონს შეუძლიან მოეშველოს მუხთარ-ფაშის კორპუსს რუსების წინააღმდეგ, რომლებიც დგანან ᲤᲐᲠᲒᲔᲗᲐᲡᲐ და ᲥᲣᲠᲣᲥ-ᲓᲐᲠᲘᲡ სიახლოვით. რუსებმა ბევრი თავიანთი საომარი მასალები და ზარბაზნები გაგზავნეს (ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲨᲘ).

—

8 ივლისს ოსმალები შეეტაკნენ და ლენ. ᲐᲚᲮᲐᲖᲝᲕᲔ დაუწყეს სროლა ერთს დროს ხომალდებიდამ ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ მხრით და ამ დროსვე წასწიეს თავისი ხმელეთის ჯარი; მაგრამ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ მხრით შეიქნა საშინელი სროლა და დაიწიენენ უკან. ერთი ხომალდი კი დაშავებულია რუსის სროლით. ᲩᲕᲔᲜᲘᲡ მხრით ზარალი დიდი არ არის.

—

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია თფილისის შტაბიდამ 8 ივლისს, გაგზავნილი დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲛ მოსულ ხომალდებს მოჰყავთ ჯარი ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲨᲘ (ᲐᲑᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ) და წაიყვანეს აგრეთვე რამდენიმე ოჯახი აბხაზებისაო.

—

იქიდამვე მოსული ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ მუხთარ-ფაშის ჯარი, რომელიც ითვლება 40 ბატალიონი, გამაგრდა მთის ᲐᲚᲐᲓᲐᲦᲘᲡ ჩრდილოეთის ფერდობზე ᲕᲘᲖᲘᲜᲙᲔᲕᲘᲡ და ᲥᲔᲠᲮᲐᲜᲘᲡ შუა.

—

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „Голосъ“-ის სპეციალური კორრესპონდენტი სწერს ᲥᲣᲠᲣᲥ-ᲓᲐᲠᲐᲓᲐᲛ 9 ივლისს:

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘ და დაჭრილები, რომელნიც იყვნენ დროებით აშენებულ ᲥᲣᲠᲣᲥ-ᲓᲐᲠᲘᲡ საავათმყოფოში, ეხლა გადიყვანეს ᲑᲣᲛᲑᲠᲨᲘ (ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲨᲘ).

—

იგივე კორრესპონდენტი ამბობს, რომ მუხთარ-ფაშის ჯარი ᲧᲐᲠᲡᲘᲡ თხრილის კეთებას შესდგომია. ᲩᲕᲔᲜᲘ ჯარიდამ წავიდა პარლამენტიორი, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ტყვეთ წაყვანილი ოსმალების მიწერილი წერილების მიტანა ᲧᲐᲠᲡᲨᲘ; ის კაცი ძალიან კარგათ იყო ᲧᲐᲠᲡᲨᲘ ოსმალებისაგან მიღებული.

—

ᲘᲥᲕᲔ სწერენ, რომ გუშინ 9 ივლისს ლენ.-ლეიტენანტი ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘ წავიდა ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲨᲘ დიდი მთავარი მიხეილ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ძის სანახავათ, რომელიც ეხლახან დაბრუნებულიყო ᲘᲒᲓᲘᲠᲘᲓᲐᲜ.

კორრესპონდენტი სწერს კიდევ, რომ აქ მოვიდა ამბავიო, რომ ᲨᲐᲛᲘᲚᲘᲡ შვილი მუხთარ-ფაშის ჯარში არისო.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ერთი ᲕᲔᲜᲘᲡ გაზეთის კორრესპონდენტი სწერს ᲢᲘᲠᲜᲝᲕᲘᲓᲐᲛ შემდეგს:

„ᲝᲠᲘ დღის მგზავრობის შემდეგ ძლივს მოვედი სისტოვიდამ ᲢᲘᲠᲜᲝᲕᲐᲨᲘ. მთელი გზა მოფენილია სურსათით და საომარი იარაღებით. რუსის ჯარი ცოტა არ იყოს აღელვებულია იმ ᲰᲐᲖᲠᲘᲗ, რომ დიდი ბრძოლა მოელისთ. რუსჩუკთან, გზაზე, უკანასკნელი 22 სოფელი შემხვდა რუსებისაგან გადამწვარი. მაჰმადიანებს სულ მიუტოვებიათ სადგომი. რუ-

სის ჯარში ხშირი ავათმყოფობაა, დაჭრილები ვერ არიან კარგათ მოვლილი.“

—

რუსულ გაზეთ „Голосъ“-ში მოყვანილია „ქელნის ბაზეთიდამ“ ამბავი, რომ ოსმალოს ჯარის მომეტებული ნაწილი შეკრებილია ბალკანების სამხრეთ მხარეს. ამ ჯარის რიცხვი 30,000 კაცია. ამ ჯარსვე შეუერთდება სულეიმან-ფაშა, რომელიც ჩერნოგორიიდამ წავიდა ალბანიაში და იქიდამ ადრიანოპოლში მიდის. ამბობენ, რომ სულეიმან-ფაშას 48 ბატალიონი ჯარი ჰყავსო. ბალკანის ჩრდილოეთის მხრისკენ მოუვიდა ბრძანება ოსმალოს ჯარს, რომ ივნისის ბოლოს მომზადებულ იყოს ბაბროვთან გადასვლას, რომ შეეკრათ გზა ბაბროვიდამ ყაზანლიკში; ისე რომ ჯერ-ჯეროობით ოსმალებს აღარ აქვთ შიში, რომ რუსებს შეეძლებათ სერბიაში გადასვლა და იმის დაჭერა.

—

აუგსბურლის გაზეთში მოყვანილია სტამბოლიდამ მოსული შემდეგი ტელეგრამმა 9 ივლისიდამ: აქ ისმის, რომ ოსმან-ფაშა იქნება დანიშნული სამხედრო მინისტრათაო, დათხოვნილ რედიფ-ფაშის ადგილას.

—

ლონდონის გაზეთს „Standard“-ში დაბეჭდილა შემდეგი სტამბოლიდამ, 6 ივლისს, მიღებული კორრესპონდენცია:

„რუსის ჯარის გადასვლა ბალკანის მთებზე უფრო მომეტებული ყურადღების ღირსია, ვინემ დღემდი ფიქრობდნენ. ბოლგარიელები ყველგან ეხმარებიან რუსებს. მე ნამდვილათ ვიცი, რომ ოსმალეთი ფიქრობს—ჩვენ რუსის ჯარს ადრიანოპოლის აღებას ვერ მოუშლითო, რადგან ეს ქალაქი სრულებით გამაგრებული არ არისო. თუ ინგლისს არა ჰსურს, რომ რუსებმა სტამბოლი აიღონ, ახლავე უნდა დაიჭირონ თადარიგი. ოსმალოს ჯარი გაბრაზებულია რუსის ჯარისა და განსაკუთრებით ბოლგარიელების მოქმედებაზედ. სტამბოლში, როგორც მოგეხსენებათ, თითქმის სამას ათასზე მეტი ქრისტიანები ცხოვრებენ და თქვენ წამოიდგინეთ-რა უნდა მოხდეს აქ, თუ ეს გაბრაზებული ჯარი იძულებული შეიქნა, რომ სტამბოლში დაბრუნდეს.“

—

სევასტაპოლიდამ გაზეთს „Голосъ“-ში იწერებიან:

„ბუშინ, 11 ივლისს, ჩვენ ცეცხლისგემს „ვესტას“ ჰქონდა ფიცხელი შეტაკება ზღვაში, ხუთი საათის განმავლობაში, ოსმალოს ჯავშნიან ხომალდთან. ჩვენ გავაქციეთ მტრის ხომალდი; მაგრამ ჩვენი ცეცხლის-გემი „ვესტა“ კ ძალიან დააზიანი ოსმალოს ყუმბარებმა. ჩვენის მხრით მოკლულია 2 აფიცერი და 11 მატროსი; დაჭრილი არიან: 5 აფიცერი და 17 მატროსი.

საქართველო

ღღიური

*** კავკასიის არმიის შტაბის უფროსისაგან პეტერბურლისა და მოსკოვის რუსულ გაზეთებს შემდეგი დეპეშა მოუვიდათ 10 ივლისს:

„თერგის მაზრიდამ კიდევ ცუდი ამბები მოდის: იჭყერის რამდენსამე აულში ჩვენს მილიციას, რომელიც ალიბეკის აჯანყებულებს მისდევდა, დაუშინეს თოფები და ერთ ალაგას ჩვენს ოოროტას დაეცნენ იმ დატუსაღებულების-განსათავისუფლებელად, რომელიც ამ როტებს მიჰყავდათ. საჭიროთ დავინახეთ, რომ დაღესტანში, ანდიის მთებისაკენ ახალი ატრიადი გაიგზავნოს თერგის მაზრის დასამშვიდებელად.“

*** ქახეთიდამ გვწერენ, რომ წელს გასული თიბათვის შუა რიცხვებამდინ ჩვენი ნამუშევრისათვის ძალიან კარგი ამინდები იყოო; მაგრამ თიბათვიდამ ამ მკათათვის ნახევრამდინ ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილაო და ამის გამო ხალხი წელს კარგ მოსავალს არ მოელის პურისა და სიმინდისასო.

ამ უბედურებას ვაზის ნაცერიც ზედ დაერთოო ასე, რომ ამ მხრითაც ხეირს არ მოელიან ჩვენი მემამულეები და გლეხებიო.

*** სამეგრელოდამ, სახელდობრ ახალსენაკის უეზდიდამ, გვწერენ, რომ, ამ უეზდის გამგეობის ბრძანებით, თეკლათის სოფლის საზოგადოებას ჰქონდა ამ დღეებში აქ ყრილობაო იმის თაობაზე, რომ ომში და დაჭრილებისა და ავათმყოფ მეომრებისათვის ფულები მოაგროვონ. კორრესპონდენტი გვწერს, რომ უეზდის სამმართველომ ისე მაგრათ მოჰკიდა ამ საქმეს ხელიო, რომ მარტო ამ თეკლათის ლარიბს საზოგადოებაში უკანასკნელს ათ თუმანს მაინც მოაგროვებენ ამ მიზნისათვის, და ეს ფული უეზდის სამმართველოს ჩინოვნიკს უნდა გადასცენო...

*** ახლანდელი „კავკაზის“ რედაქტორი უფ. ბორონოვი ადრე იყო რედაქტორად ერთის ძლიერ სასარგებლო გამოცემისა, რომელსაც ჰქვია სახელად „კრება ცნობათა კავკასიის მთიულებზედ.“ რაკ წიგნი გამოვიდა ჯერ-ჯერობით ამ „კრებისა“, რომელებშიაც ბევრი საინტერესო ცნობები იყო მოყვანილი ჩვენი მხრის მთის მცხოვრებლებზე, თუმცა ბევრი ისეთი რამეებიც იბეჭდებოდა, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა არც მეცნიერებისა და არც ცხოვრებისათვის. ამ „კრების“ რედაქტორად ახლა ინიშნება უფ. ბერდენბაში—ამბობენ, რომ ამ „კრების“ ერთს მეცამეტე წიგნში დაიბეჭდება „კავკასიის ძველი ისტორია“, რომელიც მიცვალებულ უსლარისაგან არის დაწერილიო.

*** ფოთი-თფილისის რკინის გზის ერთი სტანციიდამ ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშნვა:

„ფოთი-თფილისის რკინის გზის კამპანიას პოსაჟირებისათვის თითქო ბილეთები შემოლევია. თითო ვაგონში ორმოცი კაცი რო ისხდეს, მესამედს არა აქვს ბილეთები. მე ვფიქრობდი ამ უბილეთოებს დაიჭერს კანტროლერი ან კანდუკტორი და ჯარიმას გადახდევინებენ-მეთქი, მაგრამ, შენ არ მომიკვდე, ვისაც უნახეს ბილეთები, გამოართვეს, და ვისაც არა, ოთხი აბაზის მაგიერ, ორი აბაზი გამაართვეს და ჯიბაში—მეორე კასსაში—ჩაუძახეს...“

*** დაბა ახალ-სენაკიდამ გვწერენ, რომ ადგილობრივი პოლიციის პრისტავის უფ. ბ. ქავთარაძის მეცადინეობით, ამ მოკლე ხანში იქ უფასო საქალებო შკოლა გახსნილა.

*** იქიდამვე გვატყობინებენ, რომ სოფ. ბალადიდის საზოგადოებამ ამ რამდენიმე თვის წინათ თავის სასოფლო შკოლის დახურვა განიზრახა, რადგან შეძლება არა გვაქვსო; მაგრამ აქაურმა სოფლის სასამართლოს მწერალმა უფ. მაქსიმე ღვამიჩავამ საზოგადოება ჩაგონა და მათი შკოლის სასარგებლოდ ყოველ წლობით რამოდენიმე ფული შესწირა. ამის გამო დღეს საზოგადოების შკოლის დახურვის ჰაზრი არა აქვთ. ხსენებული მწერალი საზოგადოებამ აღმოარჩია შკოლის მზრუნველად (პაპეჩიტლად); შეადგინეს განაჩენი, ხელი მოაწერა ყრილობამ და ეს საქმე მოხსენდა ქუთაისის გუბერნიის სასოფლო შკოლების ინსპექტორს უფ. ტროიესა, მაგრამ ჯერ არავითარი განკარგულება არ მოუხდენია ამ მზრუნველს დამტკიცებისათვის და, ამბობენ, რომ ამის მიზეზით შკოლის საქმე ისევ ცუდათ არისო...

„დროების“ კორრესპონდენცია

სამეგრელო, 14 ივლისს. ჩვენში ქურდებმა ეხლა ახალი მოდის ქურდობა მოიგონეს: ცხენს ან სხვა რამ საქონელს მოიპარამენ, დაბამენ ტყეში სამი დღით, მერმე ცხენის პატრონს ნახამენ და ეტყვის ქურდი ამ ცხენის პატრონს, რომ შენი ცხენის ქურდი მე ვიცი—ვინ არისო და თუ რამეს მაჩუქებ, გავაშვე-

ბინებო.

ცხენის ქურდი და პატრონი ევაჭრებიან ერთმანეთს: ქურდი ცხენის ფასის ნახევარს გამოართმევს ცხენის პატრონსა. არავინ არ უნდა უყურებდეს ამათ ვაჭრობასა და ფულის მიცემას. ფულს რომ მიიღებს ქურდი, წავა და მოპარულ ცხენსა წარუდგენს პატრონს.

ამ 4-ს ივნისს სოფ. ჭალადიდში ქურდმა ორი ცხენი მოიპარა და ტყეში დაბა. ოთხი დღის შემდეგ, პიტრონი რო ეძებდა თავის ცხენსა, გზაში შეეყარა ქურდი და უთხრა, რომ შენ ცხენს ნუ ეძებ, ვერ იპოვიო, და მე თუ მომცემ ოც-და-ათ მანეთს, მოგინახავო. იმ ღამეს მოვიდა ეს ცხენის პატრონი სოფლის სასამართლოის მწერალთან და მწერალს უამბო ეს გარემოება. მწერალმა ფულების ნომერი გამოიწერი და მერე მიაცემინა ქურდისთვის შვიდი სამ-სამ მანეთიანი.

ქურდმა ფულები რომ აიღო, იმ საათში მწერალმა მოახსენა ახალ-სენაკის პოლიციის პრისტავს ეს გარემოება. ქურდი დაიჭირეს, ამოუღეს ჯიბიდგან ფულები; ორი სამ-სამ მანეთიანის მეტი არ ჰქონდა, სხვა ამხანაგებისათვის დაერიგებია. ეს ფულები და მწერლის გამოწერილი ნომრები რომ ნახეს, დაეთანახმა. ცხენი კი მინდორში გაშვებული ნახეს. ბამოძიების დროს ქურდმა აჩვენა, რომ მე მარტო არ ვიყავიო ამის ქურდიო, ამხანაგები მყვანან სოფლის საღვამოჩავოს მცხოვრებიო. პრისტავმა ეს საქმე, რასაკვირველია, გარდასცა სასამართლოს.

და ეს პირველი მაგალითი არ არის რომ ჩვენი ახალი და ძველი ქურდები ამ რიგად იქცევიან.

მეგრელი

ჭალადიდი, 14 ივლისს

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ახლად დაყენებული მინისტრები, როგორც ამბობენ, სუყველანი მიტჰადფაშის მომხრენი არიან და ამათ ურჩიეს თურმე ხონთქარს., რომ ახლანდელ მდგომარეობაში იმისთანა კაცი, როგორც მიტჰად-ფაშა ოსმალეთისათვის აუცილებელად საჭირო არისო. ევროპის გაზეთები გვარწმუნებენ, რომ ამ გვარი რჩევის გამოისობით გადაწყვიტა სულთანმა ამ გამოჩენილი კაცის დაბრუნება და თვითან მისწერა იმის წერილი პლომბიერში და სთხოვა მოსულიაო.

— ამბობენ, ვითომც მინისტრმა აარიფი-ფაშამ გამოუცხადა ინგლისის სტამბოლელ ელჩს ლეიარდსაო, რომ პორტა მხოლოთ იმ შემთხვევაში დათანხმდება, რომ ინგლისმა თავის ჯარით სტამბოლი დაიჭიროს, თუ ამ თავითვე დაგვპირდებითო, რომ ოსმალეთს არცერთი ნაკუწი მიწა არ მოაკლდება, რომ ჩვენი სახელმწიფოს ერთობა დარღვეული არ იქნებაო. ლეიარდმა, ამ საგანზე მოსალაპარაკებელად, სულთანის ნახვის სურვილი გამოაცხადა, მაგრამ სულთანს ჯერ არ დაუნიშნავს იმისათვის აუდიენციის დრო.

საფრანგეთი

ახლანდელი საფრანგეთის სამინისტროს ოფიციალური გაზეთი „Figaro“ გვაცნობებს, რომ ჩვენ ნამდვილად შეეიტყეთო, რომ მამავალი ნაციონალური კრების დეპუტატებისათვისკენჭის-ყრა ოქტომბრის 14-ს იქნება დანიშნულიო.

— ფურტუ - ბროჰლიის სამინისტროს შეუდგენია სია იმ კანდიდატებისა, რომელთაც ამორჩევას ეცდება მმართებლობა და რომელნიც ოფიციალურ კანდიდატებათ ითვლებიან. ეს სია, როგორც ამბობენ, რესპუბლიკის პრეზიდენტს მარშალ მაკ-მაჰონს წარუდგენეს და ამასაც თავის მხრით დაუმტკიცებია, ამ კანდიდატების სიის შედგენის დროს მხოლოთ ისეთი კანდიდატები ჰყვანდათ თურმე სახეში და ისეთები დანიშნეს, რომელზედაც იმედი ჰქონდათ, რომ ახლანდელ რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ფურტუ-ბროჰლის სამინისტროს მხარეს დაიჭერენ მომავალს ნაციონალურს კრებაში და ყოველის ღონის-ძიებით ეწინააღმდეგებიან რესპუბლიკურ პარტიასა.

—ბონაპარტისტების მოთავეს რუერს და მინისტრებს, განსაკუთრებით ფურტუს, ხშირათ აქვთ ერთმანეთში სხვა და სხვა პოლიტიკურ საქმეებზე მოლაპარაკება და ერთად სჯიან, როგორი და რა საშუალება უნდა იხმაროონ, რომ რაც შეიძლება მომეტებული ბონაპარტისტები ამოარჩევინონ ხალხს, როცა საზოგადო კენჭის-ყრა დაიწყება.

— პარიჟში არის ერთი დიდი შენობა (Halle Centrales), სადაც ყოველ დღე, დილით ადრიანათ, სოფლებიდამ შემოტანილი სხვა და სხვა ხორაგეულობა იყიდება. აი ამ ადგილას, პოლიციას შეუნიშნავს ერთს დილას, რომ სოფლებიდამ შემოსულს გლეხებს ნეტარ-ხსენებული ნაპალეონი მე-III-ს შვილის—ნაპოლეონი მე-IV—სურათებს ურიგებენ. საფრანგეთის ტახტის მეძიებელი ამ სურათზე შავის ფრაკით და თეთრი ყელსახვევით ყოფილა გამოხატული. სურათის ზემოთ ასო N ასვიაო გვირგვინით, რომელზედაც აწერია „Empire français“ (საფრანგეთის იმპერია) და ქვემოთ: „Napoleon IV, Empereur“ (ნაპოლეონი მეოთხე, იმპერატორი). ბევრს, ვისთვისაც მიუციათ, მიმცემის თვალის წინვე დაუხვევიათ და უსრესიათ ფეხებით. რესპუბლიკური გაზეთები ანგარიშს თხოვენ პოლიციის პრეფექტს, ვუაზენს, ამ გვარი პრაპაგანდის ნების ღართვისათვის.

— 18 (6) ივლისს, პარიჟში, მონმარტრის ერთს ქუჩაზედ დაუნახავსთ მუშების გარკაბაში და ცხენზე მჯდომი კაცი, რომელსაც ხელში სამფეროვანი დროშა ჰკავებია შემდეგის წარწერით: „ბაუმარჯოს ნაპოლეონ მე-IV-ს! ბაუმარჯოს ჯარს! ყველაფერი ხალხის არის!“... რასაკვირველია, ეს ბაშიბუზუკი იმ წამსვე დაუჭერიათ, რომ გიჟების სახლში მიუჩინონ ადგილი.

—ამბობენ, რომ ვიკონტს დე-ბრეფფიუმს სამი მილიონი ფრანკი მიუცია კონსერვატორულ კომიტეტებისათვის ამ მომავალ ამორჩევების დროს მოსახმარებლათ.

ავსტრო-ვენგრია

ნემეცურს გაზ. „National Zeitung“-ში იწერებიან ვენიდამ შესახებ იმისა, თუ რა განზრახვა ჰქონდა ოსმალოს მმართებლობას იმ დროს, როდესაც ის ღენ. ძლაპკას ისტუმრებდა ვენაში:

„ერთ დროს ძლაპკა და გრაფი ანდრაში მეგობრები ყოფილან, ამბობს ზემო-მოყვანილი გაზეთის კორრესპონდენტი, და თუმც შემდეგ უთანხმოება მათ შორის პოლიტიკური ჰაზრებისა გამო მომხდარა, მაგრამ ოსმალოს მმართებლობას მაინც იმედი აქვს, რომ ძლაპკა რაც უნდა იყოს უფრო თამამათ და აშკარათ ილაპარაკებს ანდროშისთან, ვინემც ამას ალეკო-ფაშა მოახერხებს, რომელსაც შეიძლება ანდრაშიმ ბევრი დაუფარაოს, რადგან ის ავსტრო-ვენგრიის მართემლობასთან ოსმალოს მხრით ოფიციალურ პირად ითვლება.

რამდენიმე თვეა მას აქვთ, რაც ძლაპკა ცდილობს, რომ ავსტრო-ვენგრიამ ოსმალეთის მხარე დაიჭიროს და ამის სამაგიეროდ, ვითომც ოსმალოს მართებლობისაგან დალმაციის მოსაზღვრე რომელიმე მიწის დათმობას ჰპირდებოდა ავსტრიას. ძლაპკამ გაბედულობით ვერ იმოქმედა მაშინ, თორემ ვენაში დიდი ხანია, დალმაციის მხრით რომელიმე მიწის მოპოებაზე ჰფიქრობენ. ეხლა ხანად ძლაპკამ გაიმეორა თურმე თავის წინადადება და თან ცდილობდა შეეტყო—ვინიცობაა, რომ სერბიამ ომი გამოუცხადოს ოსმალეთს, ავსტრო-ვენგრია მაშინ მთელს სერბიის სათავადოს დაიჭერდა თავის ჯარებით, თუ მარტო

იმისთანა ადგილებს, რომელნიც Ოსმალეთის მოსამზღვრენი არიან. Ოსმალოს არ სჯერა, რომ სერბია არ გაერევა ამ ᲝᲛᲨᲘ და ამიტომაც უნდა, რომ ᲐᲘსტრო-ᲕᲔნგრიამ შეაკავოს იგი. მაგრამ ᲐᲜᲓᲠᲐᲨᲘს ვერ მიუცია ᲙლᲐᲞᲙᲐსათვის ამის შესახებ სანატრელი პასუხი: „ᲐᲘსტრიის მხრით ამ გვარი მოქმედება, უთქვამს ᲐᲜᲓᲠᲐᲨᲘს, ნეიტრალიტეტის დარღვევა იქნებაო.“

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲐᲛᲐს წინათ სამზღვარ გარეთის გაზეთები ამბობდნენ, რომ ვითომც თავ. ᲒᲝრჩᲐᲙᲝვს უნდაო ᲔვᲠᲝᲞᲘს უმთავრესს სახელმწიფოებს მიჰმართოსო იმ კითხვით, თუ რა განზრახვა ანუ რა მიზანი აქვს ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘს მმართებლობასაო, რომ ამ ᲝᲛᲨᲘ ის ასე ჩუმ-ჩუმად ეომება რუსეთსაო თავის ვოლონტერებით, რომელნიც დღეს Ოსმალოს ᲐზᲘᲘსა და ᲔვᲠᲝᲞᲘს ჯარებში იმყოფებიანო. დღეს კი ᲑᲔრლᲘᲜᲘს გაზ. „National Zeifung“-იდამ ვტყობულობთ, რომ ეს ხმა არ მართლდება, თუმც, როგორც ესვე გაზეთი ამბობს, რუსეთის მმართებლობას ძრიელ ბევრი საბუთი აქვსო იმის დასამტკიცებელათ, რომ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ამ ᲝᲛᲨᲘ ძალიან ეხმარება Ოსმალოს მმართებლობას.

— ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘს კონსერვატორული გაზეთები ძრიელ გამწყრალი არიან, რომ რუსის ჯარები ᲑᲐლᲙᲐᲜᲘს მთებზე გარდასულან და რომ ამ რიგათ მათ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝლᲘსაკენ გზა ეხსნებათ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘს ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ᲔრᲔვნის მაედანზე, წინამძღაროვის სახლებში. Ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ᲑᲐრალეევიჩი და ᲚᲘსიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ᲕᲔრმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, ᲗᲐმᲐმშევი — თვალის ექიმი.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ᲚᲘსიცევი — შინაგანი ავათმყოფ., ᲫᲘუᲩᲐრიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ᲕᲔრმიშევი — შინაგან ავათმყოფობისათვის.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ: ᲚᲘსიცევი და ᲐᲡᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘ — შინაგანი ავათმყოფობისათვის და ᲛᲘᲜᲙᲔᲕᲘᲩᲘ — ხირურგიულისთვის.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ᲕᲔრმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფ., ᲫᲘუᲩᲐრიანცი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და ᲗᲐმᲐმშევი — თვალის ავათმყოფობისა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘს ᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲮᲠᲘს

ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲝ

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲕᲘსაც ამ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ, ბებიობის სასწავლებელად, შესვლა სურს, თხოვნა უნდა შეიტანოს მედიცინის ნაწილის სამოქალაქო უწყების მმართველის სახელობაზედ (საპიორის ქუჩაზე, თ. რ. ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘკᲝვის სახლებში).

ᲕᲘᲜᲪ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘს უმაღლესს კურსში შედის და სურს, რომ მიიღოს დიპლომი, რომელიც ქალაქის სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლებისა და ქალაქისა და უეზდის ბებიის თანამდებობის მიღების უფლებასა, იმან უნდა იცოდეს: ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲓᲐᲛ: მართლწერა და კითხვა, რუსულად დაწერა და თქმა წაკითხულისა; ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲘᲓᲐᲛ ოთხი არითმეტიკული მოქმედება და დრობები

ᲕᲘსაც ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘს მᲓᲐᲑᲐᲚ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ შესვლა სურს და მიღება სოფლის ბებიის ექიმისა, იმან უნდა იცოდეს მხოლოთ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘთხვა და წაკითხულის თავის სიტყვით თქმა.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ შესვლის მსურველი ქალი უნდა იყოს ᲐᲠᲐ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲘ 16 ᲬᲚᲘᲡᲐ და ᲐᲠᲐ ᲣᲮᲜᲔᲡᲘ 30 ᲚᲘᲡᲐ.

ᲗᲮᲝᲕᲜᲐსთან უნდა იყოს: მეტრიკული მოწმობა დაბადებისა, მონათვლისა და ნებართვა მშობლებისა ანუ ქმრისა (თუ ქმრიანია), რომ არ უშლიან ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ შესვლის.

ᲤᲐᲡᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: მომსვლელი ქალებისათვის 40 მან. წელიწადში, პანსიონერკებისათვის, რომელნიც ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘს ხარჯით იქნებიან და იქვე-იცხოვრებენ, წელიწადში — 240 მან. და ამას გარდა შესვლისა თანავე პირველ-გასაწყობად — 60 მან.

სწავლის ფასი იმ თავათვე უნდა იქნეს შეტანილი და უკან იღარ დაუბრუნდება შაგირდს, წლის შესრულებამდინაც რომ გამოვიდეს ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘდამ.

შესასვლელი ᲔᲒᲖᲐᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲘწᲧᲔᲑᲐ 16 აგვისტოს და თხოვნის შემოტანა, მიღების თაობაზე, ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდამ.

(3—2

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ᲒᲝრი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
Უვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
Ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ᲤᲝთი. . .	9	40			9	75	5	42
ᲤᲝთი . .	9	13						
Ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
Უვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ᲒᲝრი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ .	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ
ᲝᲪᲘ სიტყვა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘდამ:		
ᲫᲣᲗᲐᲘსს, ᲤᲝთს . .	1	—
ᲒᲝრს, ᲓᲣშეთს, სიღნაღს	-	50
ᲠᲝსტᲝვს, ᲝᲓᲔსას, მოსკოვს	2	—
ᲞᲔტᲔრᲑᲣრგს, ᲕᲐრშᲐვას . .	2	—
Ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
ᲘტᲐლიაში და საფრანგეთში.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘდამ: სამზღვარ გარეთ, ᲫᲣთᲐᲘსს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. Ორშ. და სამშ. Ოზურ. — ᲞᲐრᲐსკ. და Ორშ. ᲙᲐხეთს — სამშ. და შაბ. ბ) ᲫᲣთᲐᲘსიდამ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘს და ᲤᲝთᲘსაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. Ოზურგეთს — Ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ
და სამზღვარ გარეთ:	
ᲚᲘᲐ წიგნის	4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘს (სამი მისხალი) .	8

ᲑᲘრᲟᲐ

	მან.	კაპ
ᲞᲔტᲔრᲑᲣრგი, 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ		
Ერთი მანეთი ლირს:		
ᲚᲝნდᲝნში 24 პენსი.	—	78
პარიᲖᲨᲘ 262 სანტიმი.	—	81
ᲓᲘსკᲝნტი (სარგებლისფასი)	7½	—
ᲑᲐნკის Ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი (პირველისესხი)	207	—
მოგებიანი (მეორე ხესხი)	207	50
Ბირაოს ფურცლები:		
ᲗᲤᲘᲚ. საᲐᲖᲜ. ᲑᲐნკისა.	—	--
ᲮᲔრსᲝნის ᲑᲐნკის (5½)	83	—
მოსკოვის (5%). . . .	90	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲝᲓᲔსის ᲡᲐვაჭრო ᲑᲐნკის	158	—
ᲤᲝთი-ᲗᲤᲘᲚ. რკინ. გზის	—	—
ᲨᲐვი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
ᲙᲐᲕᲙᲐზის და ᲛᲔრკᲣრᲘს. .	203	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	735	50
ᲞᲔტᲔრᲑ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ.
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ		
ᲤᲥვ. თეთ. ᲑᲐნჯᲘსა, ფუთ.	1	20
ᲤᲥვილი ᲬᲘთელი. . .	1	—
ᲥᲔრი ფუთი. . . .	—	70
ᲑᲐმᲑᲐ ᲔრᲔვნისა, ფუთი .	7	—
— ᲐმᲔრიკისა, ფუთი. .	8	50
ᲑᲐპᲔნტილი ᲑᲐმᲑᲐ ფუთ.	7	80
ᲛᲐტყლი თუშური ფუთ .	6	—
— ᲗᲐრᲐქᲐმისა ფუთ. .	3	80
ᲐᲑᲠᲔშუმი ნუხური სტ.	2	20
ᲥᲝნი, ფუთი. . .	5	50
ᲥᲝნის სანთელი ფუთი.	6	20
სტეარინის სანთელი, ფ.	12	—
ᲮᲝრცი ᲫᲝრᲑისა, ლიტ.	—	54
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, გრადუსი .	—	12
ᲨᲐქარი, ᲑᲠᲝც. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	7	50
ᲣᲐვა გრგვალი, ფუთი .	25	—
ᲬᲘთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ᲝᲥᲠᲝ ½ იმპერიალი. .	7	97

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Іюля 1877 г. Типографія Меликова. ᲒᲐმᲝᲛᲪᲔმᲔლᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.